

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2016 წლის იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2016 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 6 259 212.2 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 5 469 340.1 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 139 416.4 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 43 325.4 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 607 130.3 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-აგვისტოში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (5 469 340.1 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (6 250 837.2 ათასი ლარი) 87.5%;

– გადასახადების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 831 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 5 177 663.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 88.8%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 295 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 011 558.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.6%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 485 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 306 157.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 88%.

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (705 401.0 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (810 000.0 ათასი ლარი) 87.1%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 1.7 ათასი ლარი.

– ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 3 464 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 820 206.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 81.4%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 742 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 117 986.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 77.2%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 702 219.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (722 000.0 ათასი ლარი) 97.3%-ია;

– ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 55 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 45 295.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 82.4%-ია; „სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-აგვისტოში შეადგინა 300 601.6 ათასი ლარი.

სახაზინო კოდების სისტემის რეფორმის ფარგლებში, 2016 წლის პირველი იანვრიდან ყველა გადასახადის სახაზინო კოდი გაუქმდა და ამოქმედდა გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდი; შედეგად გადასახადების მობილიზება ხდება აღნიშნულ ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადლო თარიღის მიხედვით.

გრანტების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 222 329.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 121 421.9 ათასი ლარი (რაც გეგმის 54.6%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 71 250.1 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 7 737.6 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 12 519.6 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის #419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 29 914.6 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 197 508.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 170 254.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 86.2%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 13 145.2 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2016 წლის იანვარ-აგვისტოში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (139 416.4 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (162 800.0 ათასი ლარი) 85.6%;

მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (25 332.7 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (47 300.0 ათასი ლარი) 53.6%;

– არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (114 083.7 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (115 500.0 ათასი ლარი) 98.8%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 337.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 89.2%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 112 746.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (114 000.0 ათასი ლარი) 98.9%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 43 325.4 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (44 300.0 ათასი ლარი) 97.8%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 43 323.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (44 300.0 ათასი ლარი) 97.8%.

დებიტორული დავალიანების სახით ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩაირიცხა – 2.2 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 607 130.3 ათასი ლარი (რაც გეგმის – 834 885.5 ათასი ლარის 72.7%–ია); მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 208 522.1 ათასი ლარი;
- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 398 608.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (768 963.5 ათასი ლარი) 51.8%–ია, მათ შორის:

- საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 398 608.2 ლარი (რაც გეგმის – 493 963.5 ათასი ლარის 80.7%–ია); მათ შორის:

- ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 257 858.9 ათასი ლარი;

- სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 140 749.2 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 132 043.4 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა

კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის #835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2016 წლის იანვარ-აგვისტოში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 1 707.4 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 622 361.8 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 621 595.5 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 766.3 ათასი ლარი; მათ შორის:

- „დაცული ტერიტორიების განვითარება (გრანტი)“ – 236.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (გრანტი)“ – 9.8 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი (გრანტი)“ – 162.1 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (კრედიტი)“ – 92.0 ათასი ლარი;
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კრედიტი)“ – 265.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2016 წლის 1 სექტემბრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 455 213.0 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 454 896.0 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 317.0 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის #29-ე განკარგულების თანახმად, სულ 185 000.0 ათასი ლარი, სახაზინო

ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (გამოყენება) შეადგინა 167 148.8 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2016 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული 5 469 340.1 ათასი ლარის მოცულობით (ცხრა თვის გეგმა 6 250 837.2 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 5 507 031.7 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა 6 470 713.2 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა -37 691.5 ათასი ლარი (უარყოფითი), ცხრა თვის გეგმა -219 876.0 ათასი ლარი (უარყოფითი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 231 872.1 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 139 416.4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 371 288.4 ათასი ლარი.

2016 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -269 563.6 ათასი ლარი(უარყოფითი), ცხრა თვის გეგმა -600 666.2 ათასი ლარი(უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის #474 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 7 629 628.3 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 7 038 335.6 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 591 292.7 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებულია 6 915 438.1 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 6 426 361.0 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 5 924 299.0 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 502 062.0 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 92.9%, ხოლო გეგმის 84.2%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2016 წლის იანვარ-აგვისტოს მთლიან ხარჯებში შეადგინა 92.2%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 7.8%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის #738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-აგვისტოში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 087 639.3 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 042 204.9 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 952 128.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 91.4%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 87.5%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 827 814.1 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 738 658.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 692 534.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.8%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 83.7%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 302 875.2 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 287 856.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 271 102.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.5% და ვალდებულების 94.2%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 154 876.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (171 630.6 ათასი ლარი) 90.2%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 116 226.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (116 226.1 ათასი ლარი) 100%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 237 068.2 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 212 972.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 204 858.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.2%-ს და გეგმის 86.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 34 242.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 33 933.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.1% და ვალდებულების 99.4%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2016 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 711 271.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 582 384.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (598 697.3 ათასი ლარი) 97.3% და საგეგმო მაჩვენებლის 81.9%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2016 წლის იანვარ-აგვისტოში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 554 916.0 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (565 286.0 ათასი ლარი) 98.2%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2016 წლის იანვარ-აგვისტოში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 2 036 884.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 239 018.6 ათასი ლარი) 91% და საგეგმო პარამეტრის (2 296 140.7 ათასი ლარი) 88.7%-ია.

აღნიშნული მუხლიდან მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 1 656 677.7 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 453 344.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.7%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 014 130.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 149 416.9 ათასი ლარი) 88.2% და გეგმის (1 149 498.9 ათასი ლარი) 88.2%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 492 585.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 428 130.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.9% და ვალდებულების (492 571.2 ათასი ლარი) 86.9%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 600 988.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 548 338.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 91.2% და ვალდებულების (548 605.4 ათასი ლარი) 99.96%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 1 007 903.9 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 833 034.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 767 139.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.1%-ს და გეგმის 76.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 377 038.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 334 984.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.8% და ვალდებულების (376 990.5 ათასი ლარი) 88.2%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 48 284.4 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 48 234.4 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ შეადგინა 48 234.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100% და საგეგმო მაჩვენებლის 99.9%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 543 590.2 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ 385 079.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 371 288.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.4%-ს და გეგმის 68.3%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 303 188.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 232

796.4 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (226 941.3 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 97.5% და საგეგმო მაჩვენებლის – 74.9%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2016 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 311 246.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 310 947.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 291 095.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.6%-ს და გეგმის – 93.5%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 21 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 16 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 76.2%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 15 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (24 660.0 ათასი ლარი) 60.8%-ია, ხოლო ვალდებულების 100%; ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 10 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 6 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 60%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 304 078.0 ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 266 968.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 256 945.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.2%-ს და გეგმის 84.5%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 219 866.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (219 866.3 ათასი ლარი) 100%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 37 079.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (47 101.8 ათასი ლარი) 78.7%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 16 632.4 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 10 823.7 ათასი ლარი;
- „საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტი“ – 4 700.6 ათასი ლარი;

- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 254.2 ათასი ლარი;
- „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი“ – 794.2 ათასი ლარი;
- „ინოვაციური ეკოსისტემების განვითარება (IBRD)“ – 59.6 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2016 წლის პირველი სექტემბრისთვის შეადგინა 245.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2016 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 5 878 320.1 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 107 625.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 375 780.3 ათასი ლარი) 80.5%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 226 058.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (342 367.1 ათასი ლარი) 66% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 20.4%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 271 042.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (302 815.4 ათასი ლარი) 89.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 24.5%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 497 472.0 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 453 856.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (5 878 320.1 ათასი ლარი) 7.7%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 764 499.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 637 841.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.4%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.8%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 363 316.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (421 077.1 ათასი ლარი) 86.3%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (67 450.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (84 534.3 ათასი ლარი) 79.8%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 77 013.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (101 511.5 ათასი ლარი) 75.9%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 839 068.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 603 595.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 71.9%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული

საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (31 882.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (46 849.4 ათასი ლარი) 68%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (137 447.6 ათასი ლარი), გეგმის (176 413.4 ათასი ლარი) 77.9% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 484 767.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 338 216.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 69.8%.

გარემოს დაცვის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 35 768.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 30 109.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.2%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 40 261.4 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 30 129.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 74.8%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 25 635.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 17 540.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 68.4%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2016 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 697 000.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 627 916.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.7%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 506 413.4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (467 903.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 92.4%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (97 266.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (106 882.2 ათასი ლარი) 91%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 27 632.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (35 767.3 ათასი ლარი) 77.3%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 176 802.9 ათასი ლარით, რაც 2016 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (198 902.2 ათასი ლარი) 88.9%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 35 249.5 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (30 478.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 86.5%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 790 734.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 636 162.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 80.4% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.8%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 338 992.6 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (382 970.9 ათასი ლარი) 88.5%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 77 101.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (91 793.1 ათასი ლარი) 84%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 1 774 816.5 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 574 281.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26.8%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 149 698.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 014 321.9

ათასი ლარი, ანუ გეგმის 88.2%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 434 119.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (500 470.2 ათასი ლარი) 86.7%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამოცდათვრამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 4 170.0 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 2 971.3 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეადგინა 1 198.7 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამოცდაშვიდ შემთხვევაში შეადგინა სულ 73 622.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 57 711.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 სექტემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 15 911.5 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაერთ შემთხვევაში შეადგინა სულ 181 871.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 156 839.2 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2016 წლის 1 სექტემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 25 032.7 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული

დავალიანების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 46 230.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 43 060.7 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 7 470.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 630.4 ათასი ლარი („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის“ მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა).

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 37 000.0 ათასი ლარი. აქედან, ვალდებულებების კლების მუხლით: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოეყო 25 041.5 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 25 041.5 ათასი ლარი); სახელმწიფო აუდიტის სამსახურს – 625.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 625.0 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 44.4 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 44.4 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 11 289.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 8 152.6 ათასი ლარი).

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად ვალდებულებების კლების მუხლით გამოყოფილმა გეგმამ შეადგინა - 1 804.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა – 2 611.3 ათასი ლარი, მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეული ხარჯი – 866.3 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 8 152.6 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდეზე.

2016 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.